ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 36
31/08/2015

36-08-4-201508311717

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 მარტის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ცვლილება შევიდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 მარტის N14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/03/2015, სარეგისტრაციო კოდი 040110030.35.114.016257) და ამოღებული იქნას დადგენილების მე-9 მუხლი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა